ოქმი:**ო12.37220391**
თარიღი:**08/02/2022**

ოქმი № 4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2022 წელი, 7 თებერვალი

ქ.ოზურგეთი

12.00-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ქეთევან ხომერიკი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ჭანიშვილი, ხ. ცერცვაძე, ვლ. ხავთასი, მ. ჩხიკვიშვილი, მ. ვაშალომიძე, გ. სირაძე, ხ. თავდიშვილი, დ. მდინარაძე, ნ. სარჯველაძე.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ბიგვავა.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ა(ა).ი.პ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს მიერ 2021 წელში გაწეული მუშაობის თაობაზე.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: მ. ქუტიძე

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა მოკლედ ისაუბრა ა(ა).ი.პ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს მიერ 2021 წელში გაწეული მუშაობის მნიშვნელობაზე, განსაკუთრებით კოვიდპანდემიის პირობებში, ხოლო ვრცლად გაწეულ მუშაობაზე კომისიის წევრებს ინფორმაცია მიაწოდა თანამომხსენებელმა მ. ქუტიძემ. მისი მოხსენების შემდეგ სხდომა გადავიდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კომისიის წევრმა დ.მდინარაძემ დასვა საკითხი მუნიციპალიტეტის სოციალურ საცხოვრისში არსებული მდგომარეობის შესწავლის აუცილებლობაზე, უპასუხეს, რომ საკითხს სწავლობს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს სამუშაო ჯგუფი, რომლის დასკვნის განხილვის შემდეგ მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად დაისახება კონკრეტული ღონისძიებები. საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ დაუსვა შეკითხვა ა(ა).ი.პ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს დირექტორს-მ. ქუტიძეს -არის ისეთი პრობლემა, რომლის გადაწყვეტაში მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის

დახმარებაა საჭირო? გამოიკვეთა ორი საკითხი: 1. საოფისე ფართი, რომელიც დაქირავებული აქვთ და წელიწადში იხდიან 12 ათას ლარს, ვერ პასუხობს მოთხოვნებს; 2. ცენტრის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების სიმცირე-ექიმის ხელფასია 350 ლარი, კომისიის წევრებმა ამ საკითხებზე იმსჯელეს და საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ლ. ბიგვავას წინადადებით გადაწყვიტეს შეისწავლონ არსებული მდგომარეობა, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს სხდომაზე განიხილონ და დასახონ კონკრეტული ღონისძიება, რომლის გადასაწყვეტად მიმართავენ მუნიციპალიტეტის მერიას. კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარის ქ.ხომერიკის წინადადებით, ა(ა).ი.პ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს მიერ 2021 წელში გაწეული მუშაობა შეაფასეს დამაკმაყოფილებლად და მიიღეს ცნობად.

გადაწყვიტეს:

1. ა(ა).ი.პ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს მიერ 2021 წელში გაწეული მუშაობა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად და მიღებულ იქნას ცნობად.

2. შესწავლილ იქნას ა(ა).ი.პ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს საოფისე ფართით დაკმაყოფილების საკითხი, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს სხდომაზე განიხილვისა და კონკრეტული ღონისძიებების დასახვის შემდეგ მიემართოს მუნიციპალიტეტის მერიას მათი გადაწყვეტის მიზნით.

3. ცნობად იქნას მიღებული, რომ მუნიციპალიტეტის სოციალურ საცხოვრისში არსებულ მდგომარეობას სწავლობს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს სამუშაო ჯგუფი, რომლის დასკვნის განხილვის შემდეგ მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად დაისახება კონკრეტული ღონისძიებები.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი